ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი რომის პაპ ფრანცისკეს შეხვდა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.03.2023. 3 მაისს, რომის პაპ ფრანცისკეს პირადი მიწვევით, წმინდა პეტრეს მოედანზე გამართულ საერთო აუდიენციაზე საპატიო სტუმრებს შორის იმყოფებოდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი.

ღონისძიების დასასრულს შედგა საუბარი მიტროპოლიტ ანტონისა და რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს შორის. რომის პაპი ფრანცისკე თბილად მიესალმა იერარქს, მიულოცა მას მიმდინარე სააღდგომო დღეები და სთხოვა, საუკეთესო სურვილები გადაეცა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესთვის. თავის მხრივ, მიტროპოლიტმა ანტონიმ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის სახელით, პონტიფიკოსს გადასცა მილოცვა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით და რომის ტახტზე წლევანდელი მსახურების მეათე წლისთავთან დაკავშირებით.

საუბრისას რომის პაპი ფრანცისკე და მიტროპოლიტი ანტონი ეკლესიათაშორისი ურთიერთობის არაერთ აქტუალურ საკითხს შეეხნენ. თანამოსაუბრეებმა სამახსოვრო საჩუქრებიც გაცვალეს.

შემდეგ სსკგ-ის თავმჯდომარე წმინდა პეტრეს ბაზილიკაში გაემართა, სადაც თაყვანი სცა მოციქულთათავის წმინდა ნაწილებს და სხვა სიწმინდეებს.

იმავე დღეს მიტროპოლიტი ანტონი ეწვია ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის დიკასტერიას, სადაც შეხვდა კურიალური დეპარტამენტის მდივანს, არქიეპისკოპოს ბრაიან ფარელს. ვრცელი საუბრის დროს, რომელიც გულთბილ ატმოსფეროში წარიმართა, მხარეებმა განიხილეს საკითხების ფართო სპექტრი, რომლებიც ეხება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებულ ურთიერთობას.

შეხვედრების დასასრულების შემდეგ სსკგ-ის თავმჯდომარე მოსკოვში გაემგზავრა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90298/